სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 603
(ოქმი # 527)

თბილისი 2025 წლის 12 აგვისტო

„სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ
კენჭისყრის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 35^{10} მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ღია კონკურსის წესით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის არცევასთან დაკავშირებით დამტკიცდეს „სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესი“ თანდართული სახით.

დანართი: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესი.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

გრიგოლ მურღულია

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ზაზა აბაშიძე

თამილა დოლიძე

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

სოსო სტურუა

ბონდო მძინარაშვილი

გიორგი იაკობიშვილი

იზაბელა ოსიპოვა

ლაშა ტუღუში

დამტკიცებულია

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“

სამეურვეო საბჭოს 2025 წლის -- აგვისტოს

№527 ოქმი № 603 გადაწყვეტილებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ

კენჭისყრის ჩატარების წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1 სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ (შემდგომში - „აჭარის მაუწყებელი“) დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს სამეურვეო საბჭო ღია კონკურსის (შემდგომში - „კონკურსი“) წესით 3 წლის ვადით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

1.2 აჭარის მაუწყებლის დირექტორის დანიშვნის შესახებ სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

1.3 გადაწყვეტილების მიღებისას თითოეულ მეურვეს აქვს 1 (ერთი) ხმა.

1.4 კონკურსი ტარდება 2 (ორ) ტურად (ეტაპად).

2. კონკურსის კენჭისყრის პროცედურები

2.1. კონკურსის I (პირველი) ტური

2.1.1 კონკურსის I (პირველ) ტურში ტარდება ღია კენჭისყრა, რის შედეგადაც გამოვლინდება II (მეორე) ტურში გასულ კანდიდატთა ვინაობა.

2.1.2 ხმის მიცემის პროცედურა ტარდება იმ კანდიდატებზე, რომლებმაც სრულად წარმოადგინეს საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებით დადგენილი წესის შესაბამისად.

2.1.3 სამეურვეო საბჭოს წევრს შეუძლია შეუზღუდავად ხმა მისცეს ყველა მისთვის სასურველ კანდიდატს, რის შემდეგაც ხორციელდება ხმების დათვლა.

2.1.4 კონკურსის II (მეორე) ტურში გასულად ჩაითვლება ყველა ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობას.

2.2. კონკურსის II (მეორე) ტური

2.2.1 კონკურსის II (მეორე) ტური მოიცავს გასაუბრების და კენჭისყრის პროცედურებს.

2.2.2 გასაუბრება არ წარმოადგენს სამეურვეო საბჭოს სხდომას. უზრუნველყოფილია გასაუბრების საჯაროობა.

2.2.3 გასაუბრების შემდეგ, სამეურვეო საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში ტარდება სამეურვეო საბჭოს სხდომა, სადაც დირექტორის კანდიდატის გამოსავლენად ტარდება ღია კენჭისყრა.

2.2.4 კონკურსის II (მეორე) ტურში დირექტორის კანდიდატი გამოვლინდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე მეურვეთა ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, მეორე ტურში გასული თითოეული კანდიდატისთვის ცალ-ცალკე.

2.2.5 სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე თითოეულ წევრს (მეურვეს) შეუძლია ხმა მისცეს მხოლოდ მეორე ტურში გასულ ერთ კანდიდატს, რის შემდეგაც ხორციელდება ხმების დათვლა.

2.2.6 თუ პირველმა ღია კენჭისყრამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული, მაშინ ტარდება განმეორებითი ღია კენჭისყრა.

2.2.7 განმეორებით ღია კენჭისყრაზე გადის ყველა ის კანდიდატი, რომელმაც წინა კენჭისყრის შედეგად აჩვენა 2 (ორი) ან მეტი საუკეთესო თანაბრად მაღალი შედეგი და არ მონაწილეობს სხვა დანარჩენი კანდიდატი.

2.2.8 თუ მეორე ტურის მეორე ღია კენჭისყრის შედეგად ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა 2.2.4 პუნქტით განსაზღვრული ხმების რაოდენობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით ღია კონკურსი ცხადდება ჩაშლილად და ცხადდება ახალი კონკურსი "მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი წესით და ვადებში.